ვერსალიდან მოსკოვამდე – საერთაშორისო დიპლომატიის პარადიგმები

გერმანე ფიფია
ისტორიის აკადემიური დოქტორი, სეუ-ს ასოცირებული პროფესორი

ვერსალის სისტემამ რადიკალურად შეცვალა ევროპაში ძალთა ბალანსი. მსოფლიო პოლიტიკური რუკა ომის შემდეგ არსებითად გადასხვაფერდა: 1. ომამდე გერმანიას წამყვან სახელმწიფოებს შორის ეკავა ადგილი. დამარცხების შემდეგ მან დაკარგა მსოფლიო ჰეგემონის პრეტენდენტის სტატუსი; 2. დაიშალა დუალისტური სახელმწიფო – ავსტრია-უნგრეთი ("ხალხთა საპყრობილე"), მის ნანგრევებზე აღმოცენდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი; 3. დასავლეთ ევროპაში ლიდერის პოზიციები დაიკავეს ინგლისმა და საფრანგეთმა; 4. აშშ თანდათანობით ჩაერთო ევროპულ საქმეებში, გახდა ლიდერობის აშკარა პრეტენდენტი და მსოფლიო კრედიტორი; 5. მათ დაუპირისპირდა საბჭოეთი – პრინციპულად ახალი პოლიტიკური რეჟიმით.

გამარჯვებულთა ბანაკში გერმანიასთან მიმართებით განსხვავებული მიდგომები გამოიკვეთა: საფრანგეთი ცდილობდა ნულამდე დაეყვანა ევროპაში გერმანიის გავლენა, არ დაეშვა ერთა ლიგაში მისი მიღება, დაესუსტებინა რეპარაციებით. თავდაპირველად იგი განისაზღვრა 226 მილიარდი ოქროს მარკით, მოგვიანებით შემცირდა 13 მილიარდამდე. გერმანიამ მხოლოდ 12 მილიარდი ოქროს მარკა გადაიხადა. ინგლისმა (მას მხარს უჭერდა აშშ) გერმანიის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია დაიკავა, რაც საფრანგეთის კონდიციების განეიტრალებით და საბჭოეთის საპირწონედ მისი შესაძლო გამოყენების სურვილით იყო ნაკარნახევი. საინტერესოა, რომ გერმანიამ ინგლისისა და აშშ-სგან ეკონომიკური დახმარების სახით მიიღო 32 მილიარდი ოქროს მარკა [7, ტ.3. გვ. 452].

თავდაპირველად, ვერსალის სისტემა უზრუნველყოფდა საფრანგეთის ლიდერობას კონტინენტურ ევროპაში, მაგრამ ფრანგების ამბიციებს მალე ზღვარი დაუდეს. ლოკარნოს კონფერენციამ (1925 წ.) ზოგიერთი კორექტივი შეიტანა ვერსალის სისტემაში: გერმანიას მოეხსნა გარკვეული შეზღუდვები სამხედრო სფეროში, ის ერთა ლიგაშიც მიიღეს. ინგლისმა, საბჭოთა საფრთხის გასანეიტრალებლად, ევროპულ საქმეებში გერმანიის გააქტიურება დაისახა მიზნად... საფრანგეთმა ვერ შეძლო ინგლისის ჩანაფიქრის ბლოკირება. ვერსალის სისტემის გარანტებად (რაინის საგარანტიო პაქტი) მოგვევლინენ ინგლისი და, ნაწილობრივ, იტალიაც. საფრანგეთმა იგივე გარანტიები მოითხოვა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მიმართაც, მაგრამ ეს გერმანიას არ „აწყობდა", რადგან მათ გერმანული მიწის ნაწილები ეკავათ. იმავდროულად, ლოკარნომ გააააქტიურა საბჭოეთიც: ხელი მოეწერა შეთანხმებას გერმანიასთან ნეიტრალიტეტის შესახებ. გამწვავდა კრიზისი საბჭოეთსა და დასავლეთს შორის. საბჭოეთმა გააძლიერა „მტრული გარემოცვის" ფაქტორის პროპაგანდა და სვლა მეტი ტოტალიტარიზმისაკენ.

30-იანი წლების დასაწყისიდან თანდათანობით იკვეთება ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის სიღრმისეული ნონსენსი. სააშკარაოზე გამოდის ცალკეულ სახელმწიფოთა მერკანტილიზმი, მისწრაფება დომინანტური პოზიციების დაკავებისაკენ, სულ უფრო ცხადი ხდება სისტემის შეზღუდულობა, რეალობისაგან მოწყვეტა. საბჭოეთის უზარმაზარი სივრცე – პლანეტის 1/6 ნაწილი ამოგდებულია საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტიდან. ურთულესი პრობლემების ეპოქაში, როდესაც კაცობრიობა პროგრესული ლიდერის „გამოცხადების" აუცილებლობის წინაშე იდგა (ბრიტანეთი, მიუხედავად მისი ამბიციებისა, უკვე აშკარად ვერ ერგებოდა ამ როლს), აშშ – ყველაზე მდიდარი და მძლავრი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო ეტვირთა ასეთი ფუნქცია, განზე გადგა, დაადგა "მოუსვენარი ევროპისგან" იზოლაციის გზას... იგი მისივე ინიციატივით შექმნილ ერთა ლიგაშიც არ შევიდა. იმავდროულად, კაცობრიობას უნიკალური მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც არეკვდა [6, ტ.3, გვ.613, 724-728].

ცხადი გახდა, რომ ვერსალის სისტემა უსაფრთხოების გარანტიებით უკვე ვერ უზრუნველყოფდა საფრანგეთს. საფრანგეთი შეეცადა

“მცირე ანტანტის” გამოყენებას, მაგრამ “კე’ დორსეზე” (საგარეო საქმეთა სამინისტრო) ხვდებოდნენ, რომ ეს სუსტი სვლა იყო. ფრანგებმა საბჭოეთისაკენ მიმართეს მზერა (ლ. ბარტუს მცდელობა მისმა მკვლელობამ ჩაშალა). ლ. ბარტუს მიერ წამოწყებული საქმე განაგრძო პ. ლავალმა (ანტისაბჭოთა განწყობილებას მისთვის ხელი არ შეუშლია). ფრანგული დიპლომატია საკუთარი უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით ორმაგ თამაშს ეწეოდა (ჰიტლერთან და სტალინთან). პ. ლავალი 1935 წლის მაისში მოსკოვში ჩავიდა, შეხვდა ი. სტალინსა და ვ. მოლოტოვს (საინტერესოა, რომ ეს იყო საბჭოთა ლიდერის პირველი შეხვედრები დასავლელ მინისტრებთან – უფრო ადრე ე. იდენთან და შემდეგ პ. ლავალთან). დაიდო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. რასაკვირველია, ამ ფაქტს ჰიტლერი კმაყოფილებით არ შეხვედრია. უდავოა, რომ სტალინის დიპლომატიამ შესანიშნავად ისარგებლა ამ მოვლენებით [2, გვ 28-30].

საინტერესოა, რომ ხსენებულ ორმხრივ ხელშეკრულებას მოჰყვა ჰიტლერის მიერ გერმანიის ჯარების შეყვანა რაინის დემილიტარიზებულ ზონაში, რასაც დასავლეთი უმოქმედოდ შეხვდა (ჰიტლერის გასაკვირად!). 1933 წლიდან მოყოლებული, როდესაც გერმანიამ დატოვა ერთა ლიგა, ჰიტლერმა დარტყმების სერია მიაყენა ვერსალის წესრიგს. გერმანიამ განახორციელა ისეთი ტერიტორიის (თუმცა საკუთარის) „ოკუპაცია”, რომლის დაკავებაც ვერსალის ზავით ეკრძალებოდა და ახალი ომის გაჩაღების აშკარა წინაპირობას ქმნიდა [1, გვ 215].

ჰიტლერი მიხვდა, რომ დასავლეთი ფაქტობრივად არ რეაგირებდა ვერსალით ნაკარნახევი სტატუს-ქვოს დარღვევებზე. რამ განაპირობა ეს? როგორც ჩანს, დასავლეთი იმხანად რეალურად ვერ აღიქვამდა მზარდ ნაცისტურ საფრთხეს (გავიხსენოთ, რომ ინგლისი, აშშ 20-იანი წლების II ნახევრიდან გერმანიისათვის ვერსალის პირობების შერბილებისაკენ იხრებოდნენ... ლოკარნო - ო. ჩემბერლენი).

საბჭოეთთან საფრანგეთის დაახლოებას, საფიქრებელია, ხელი შეუწყო 30-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში განვითარებულმა მოვლენებმაც. ევროპის ცენტრში ჩამოყალიბდა თვისებრივად ახალი სახელმწიფო – ნაცისტური გერმანია. ამაში გარკვეული წვლილი სტალინის დიპლომატიამაც შეიტანა – კომინტერნმა და მის უკან მდგომმა სტალინმა გახლიჩეს გერმანიის მემარცხენე მოძრაობა. კომპარტიას აეკრძალა სოციალ-დემოკრატებთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანება, რამაც ჰიტლერს გზა გაუხსნა ხელისუფლებისაკენ. ამის შემდეგ სტალინმა შეცვალა ტაქტიკა და ევროპის დანარჩენი ქვეყნების მემარცხენე ძალებს სახალხო ფრონტების შექმნის გონებამახვილური იდეა უკარნახა. შედეგად, ფაშისტებმა ვერ შეძლეს წარმატების მოპოვება ესპანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ სტალინის დიპლომატიამ 30-იანი წლებიდან შეიძინა მარჯვე მანევრირებისა და შესაშური შორსმჭვრეტელობის უნარი.

საბჭოთა ისტორიოგარფიაში კარგა ხანს იყო გაბატონებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ოქტომბრის რევოლუცია” მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დიადი დასაწყისი იყო. მოგვიანებით, ბოლშევიზმის აპოლოგეტებმა შეარბილეს ეს „ჯინგოისტური” ვერბალისტიკა და ასაბუთებდნენ იმას, რომ პარტია საკუთარ მისიას ხედავს არა „რევოლუციის ექსპორტში”, არამედ „პრაქტიკული მაგალითებით სოციალისტური წყობის უპირატესობაში ხალხების დარწმუნებაში” [8, გვ.217-218]. ისტორიულ ლიტერატურაში აღნიშნულია დასავლეთისაკენ ბოლშევიკური ექსპანსიის ლენინური გეგმების თაობაზე... წითელი არმიის დისლოკაცია გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გასწვრივ და ა.შ. [9, გვ.45] ბოლშევიკი ლიდერები საგარეო გეგმების დელიკატურ მომენტებზე საუბრის ოფიციალურ გახმოვანებას გაურბოდნენ, მათ უკვე ეუხერხულებოდათ ასეთი ფრაზები: „ხომ არ მომწიფდა პოლონეთში პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია? – მოსასინჯია ხიშტებით” [5, გვ.16]; „არა, პროლეტარიატის დიქტატურას მშვიდობა კი არა, მახვილი მოაქვს მსოფლიოსათვის” [4, გვ.128].

სტალინის დიპლომატია ურა-ბოლშევიკების მიერ „მსოფლიო რევოლუციისაკენ” მოწოდებისაგან თავს შორს იჭერდა და მათგან დისტანცირებას ცდილობდა. ასე, ამერიკელი ჟურნალისტის როი ჰოვარდის შეკითხვაზე „ხელი აიღო თუ არა საბჭოთა კავშირმა თავის გეგმებსა და განზრახვაზე – მოეწყო მსოფლიო რევოლუცია?” – სტალინმა უპასუხა: „ასეთი გეგმები და განზრახვა ჩვენ არასოდეს გვქონია” [10, გვ.106,125]. სტალინის განსხვავებული დისკურსი საბჭოთა დიპლომატიაში, 20-იანი წლების სალდაფონური ვერბალისტიკისა და ურა-ბოლშევიკური ფრაზეოლოგიისგან გათავისუფლების, დიპლომატიური ლექსიკის ლაბირინთებში უფრო ფრთხილი და წარმატებული მანევრირების აუცილებლობით, რთული საერთაშორისო რეალობით იყო ნაკარნახევი.

ვერსალის სისტემის წინააღმდეგობებმა

თავისებურად „გამოაწრთო" და „დახვეწა" სტალინის დიპლომატია (უფრო სწორად, სტალინი აღმოჩნდა მოვლენების სიმაღლეზე და ზოგჯერ დირიჟორის როლშიც). ვერსალის პირობებმა, ცხადია, ერთიორად გაზარდა საერთაშორისო ურთიერთობათა კონფრონტაციის ხარისხი, რომლის ფონზე საბჭოთა ლიდერი ოსტატურად მანევრირებდა და თანაც, „ორ ფრონტზე" – ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში (იაპონიასთან). ალბათ, უნდა დავეთანხმოთ კ. ნილსონს, რომ დასავლეთში პოლიტიკოსთა ნაწილი სტალინს განიხილავდა, უფრო როგორც რეალ-პოლიტიკოსს, ვიდრე ფანატიკოს-ბოლშევიკს [3, გვ. 326). კ. ნილსონის მიერ მოპოვებული მასალები გვარწმუნებს, რომ ბრიტანული „ფორინ-ოფისი" (საგარეო უწყება) გაწბილებული იყო ნაცისტურ-საბჭოური თანამშრომლობის რეციდივებით, საფრანგეთ-საბჭოეთის ლავალისეული პაქტით და სტალინური დიპლომატიის სხვა „ოინებით" [3, გვ.325].

"დაშოშმინების პოლიტიკის" მესვეურთა და მათგან ანგაჟირებული სტალინის დიპლომატიის წყალობით დასავლეთს უფრო მეტი გაწბილება ელოდა წინ. მხედველობაში გვაქვს მიუნხენის 1938 წლის სექტემბრის შეთანხმება და მოსკოვის 1939 წლის 23 აგვისტოს პაქტი.

ასეთ ვითარებაში მშვიდობისმყოფელის მისია იკისრა ბრიტანეთის პრემიერმა ნ. ჩემბერლენმა. 1938 წლის სექტემბრის მიუნხენის შეთანხმების (ნ. ჩემბერლენი, ე. დალადიე, ა. ჰიტლერი, ბ. მუსოლინი) შედეგად ჰიტლერმა მიიღო სუდეტი, ხოლო დასავლეთის დემოკრატებმა – რწმენა იმისა, რომ ჰიტლერი არ იომებდა მათთან. ერთი შეხედვით, ომის თავიდან აცილება შეძლეს. მაგრამ აღფრთოვანება ხანმოკლე აღმოჩნდა. გამოფხიზლებამ არ დააყოვნა. უ. ჩერჩილმა მაშინათვე იგრძნო, თუ როგორ შეიცვალა ძალთა ბალანსი ევროპაში ინგლისის საზიანოდ. მან, სრულიად სამართლიანად, მიუნხენის შეთანხმება ბრიტანეთისა და საფრანგეთის დამარცხებად შეაფასა.ვერსალის სისტემა საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე კონტროლის უნარს კარგავდა. სახეზე იყო მისი კოლაფსი.

მოსკოვის მცდელობას, დაემყარებინა დასავლეთთან სამოკავშირეო ურთიერთობა, კარგი პირი არ უჩანდა. ჩემბერლენი შეგნებულად აჭიანურებდა მოლაპარაკებებს (მას დრო სჭირდებოდა გერმანიასთან უფრო სოლიდური შეთანხმებისათვის საბჭოეთის დასაჩოქებლად. ცნობილია, რომ იგეგმებოდა გერინგის ჩაფრენა ლონდონში). ჩერჩილი, როგორც რეალ-პოლიტიკოსს შეეფერება, საპარლამენტო დებატების დროს მიმართავდა ბრიტანეთის (ჩემბერლენის) კაბინეტს: „რატომ არ გსურთ იყოთ რუსეთის მოკავშირე ახლავე, როცა შეგიძლიათ ომის თავიდან აცილება?... თუ საჭირო გახდება აღმოსავლეთის საიმედო ფრონტი, იქნება ეს მშვიდობის ფრონტი თუ ომის ფრონტი, ასეთი ფრონტი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მეგობრული რუსეთის მხარდაჭერით" [11, გვ.170]. ჩერჩილს სწამდა, რომ საბჭოეთთან რეალური შეთანხმება შეიძლებოდა „თუ მას მოექცეოდნენ, როგორც თანასწორს". მიუხედავად, ანტისაბჭოური განწყობილებებისა, მას არ ღალატობდა ინტუიცია მკაცრი რეალობის გაცნობიერება- აღქმაში.

სამაგიეროდ, ეს ინტუიცია აშკარად აკლდა ჩემბერლენის პოლიტიკას. სტალინმა – "საბჭოთა "მაკიაველიმ" – პრაგმატულად შეაფასა შექმნილი ვითარება და რეალ-პოლიტიკის შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა სახელმწიფომ თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა ფაშისტურ გერმანიასთან. სრულიად მართებულად შენიშნავს პროფესორი ლ. სვანაძე: „ჩვენი პირადი შეფასებით, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი სწორედ სტალინის უდიდესი პოლიტიკურ-დიპლომატიური გამარჯვება გახლდათ, მან ამოასუნთქა საბჭოთა კავშირს" [2, გვ.45]. ჩერჩილისეული განსჯიდანაც ნათელია, რომ მოსკოვის პაქტი იყო უაღრესად რეალისტური ნაბიჯი სტალინის მხრიდან. სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია "წითელი დიქტატორის" სურვილი – უზრუნველეყო საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოება. უ. შირერიც საკმაოდ ობიექტურია სტალინის მიმართ, როცა აღნიშნავს, რომ მას პაქტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია 19 აგვისტოს საღამომდე და მხოლოდ ამის შემდეგ დაეთანხმა რიბენტროპის ვოიაჟს მოსკოვში [12, გვ.487].

ონტარიოს (კანადა) სამეფო სამხედრო კოლეჯის ისტორიის პროფესორი კ. ნილსონი ბოლომდე არ არის ობიექტური. მიუნხენის შეთანხმებასთან მიმართებით მთავარი „დამშოშმინებლის" – ჩემბერლენის „ღვაწლის" შეფასებისას იგი ასკვნის, რომ ორ ტოტალურ ომს შორის პერიოდში იდეების, შეხედულებების დაპირისპირების გადაზრდა სისხლისმღვრელ სამხედრო შეჯახებაში, ერთი შეხედვით, განპირობებული იყო მხოლოდ სტალინის მოქმედებით, რომელმაც უკუაგდო ახალი მსოფლიო წესრიგი [3, გვ. 332-333]. ნილსონი გამოკვეთილად არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩემბერლენი ფაქტობრივად ამზადებდა „მეორე მიუნხენს" პოლონეთის ხარჯზე, რომელიც იმთავითვე უნდა დამთავრებულიყო ნაცისტებისა და ბოლშევიკების შეჯახებით. სტალინის დიპლომატიამ ეს

ჩანაფიქრი ჩაუშალა „დაშოშმინების" პოლიტიკის მესვეურებს. უ. ჩერჩილი თავის მემუარებში აღნიშნავდა: „მიუნხენმა და ბევრმა სხვა რამემ საბჭოთა მთავრობა დაარწმუნა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მანამ არ იომებენ, სანამ მათ თავს არ დაესხმიან და ასეთ შემთხვევაშიც კი მათგან ხეირი ცოტა თუ იქნება... საბჭოეთს „საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა" [11, გვ. 166].

ამრიგად, სტალინის დიპლომატიამ არ მიიღო ახალი მსოფლიო წესრიგი და ეს, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისმა შემქმნელებმა „იზრუნეს" მისი დე-ფაქტო დენონსაციისათვის. „დამშოშმინებლებმა" მოაწყვეს „მიუნხენის გარიგება", გეგმავდნენ „მეორე მიუნხენსაც", თუმცა სტალინის დიპლომატიამ ყოველივე ამას უპასუხა კონტრმიუნხენით – მოსკოვ-ბერლინის (მოლოტოვ-რიბენტროპის) პაქტით. პაქტის საიდუმლო მუხლების შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან – პრობლემატიკის სხვა ასპექტია და ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

როგორი რაკურსითაც არ უნდა შევხედოთ დღეს სტალინის პოლიტიკას, უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე მსოფლიო ომისწინა ურთულეს ვითარებაში კაცობრიობა „საბჭოთა მაკიაველის" მიერ განხორციელებული „უმაღლესი პილოტაჟის" დიპლომატიის მომსწრე გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. პაპასქირი, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1645, ნაკვეთი I, „მერიდიანი", თბ., 2011;
2. ლ. სვანაძე, სტალინის დიპლომატია: სამი დომინანტი, რომლებითაც მან ომი მარტოდმარტო მოიგო, ქუთაისი, „პოლიგრაფია", 2010;
3. Neilson, K., Britain, Soviet Russia and the Collapse of the Versailles order, 1919-1939, Cambridge, University press, New York, 2006;
4. Вопросы истории, 1998, #2
5. Исторический архив, 1992, #1;
6. История дипломатии, под ред. А.А. Громыко, т.III, изд.-во политической литературы., М., 1965;
7. История дипломатии, под ред. В.П. Потемкина, т.III, 1919-1939 гг., ОГИЗ, М.-Л., 1945;
8. История КПСС, т.4, кн.1, М., 1970;
9. Отечественная история, 1996, #3;
10. Сталин И.В., соч., т.14, М., 1997; Солоневич, Б., Заговор красного Бонапарта, 1958;
11. Черчилль, У., Вторая мировая война, кн.1, т.1-2, Военное изд.-во, М., 1991;
12. Ширер, У., Взлет и падение Третьего Рейха, т.1, М., 1991.

FROM VERSAILLES TO MOSCOW-PARADIGMS OF INTERNATIONAL DIPLOMACY

GERMAN PHIPHIA
academic Doctor of History (PHD in History)
Associated Professor of SEU

Versailles System didn't provide reliable and effective balance of international relations in Europe.

The new player appeared in the world area _ Bolshevist (Soviet) Empire stood apart from the new rules _ from the beginning.

World Community didn't recognize it as strange radically different thing. It was the gap of the main system. (History Professor Canadian Royal Military Collage K. Nilson noticed properly in his work "Britain, Soviet Russia and the Collapse of the Versailles Order, 1919-1939, that the isolation of Russia from the World's events for a long time exposes the Versailles Order to danger. From the 1930 Stalin's diplomacy managed to break the isolated Policy caused from the Westren Side and played the role of a conductor in some events.

Encouragement of Nazi, aggressors "Calming Policy" and its culmination "Munich agreement", negation of Stalin's version of collective fearlessness has finished by "contr Munich" Moscow-Berlin Pact(Molotov-Ribentrop Pact) and the world war II broke out.